პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 27 თებერვალი, 1944 წ. № 42 (6936). ფასი 20 კაპ.

მთლიანად შევინარჩუნოთ საქონლის ნამატი

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს სოციალისტური მეცხოველეობის მუშაკები დაუღალავად მუშაობენ და მზარდი რაოდენობით აძლევენ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეცხოველეობის პროდუქტებს. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაძაბული შრომით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ომის განმავლობაში საქართველოში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდა 120.000 სულით; ცხვრისა დათხისა 500.000 სულით. მეცხოველეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანა ახლა ის არის, რომ 1944 წელს მთლიანად და გადაჭარბებით შეეასრულოთ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და კიდევ უფრო გავზარდოთ მისი პროდუქტიულობა. ეს თანმიმდევრულ, დაუღალავ მუშაობას მოითხოვს. საქონლის სულადობის შემდგომი ზრდა, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება და 1944 წლისათვის დაწესებული მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება დამოკიდებულია საქონლის მოგების ნორმალურ ჩატარებასა და ნამატის მთლიანად შენარჩუნებაზე. ნამატის მიღების ორგანიზებულად ჩატარება და მისი მთლიანად შენარჩუნება სამამულო ომის დღეებში დიდი მნიშვნელობის საქმეა.

დადგა პასუხსაგები სამუშაო პერიოდი მეცხოველეობაში. დაიწყო საქონლის მოგება. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამოწამთმქმედო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვალია ამთავითვე სერიოზულად მოეკიდონ ნამატის მთლიანად შენარჩუნებას, მოზარდის წესიერად აღზრდას.

იქ, სადაც ორგანიზებულად მოემზადნენ, საქონლის მოგება წარმატებით მიმდინარეობს. კარგად მოემზადნენ დოლისათვის წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო-მაჩხანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელ არბოშიკში“. ახალქალაქის რაიონის სოფ. სამ-სარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნე მეცხოველეები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ დოლსა და ხბოს მოგებას. ფერმაში შემოღებულია გამოცდილ კოლმეურნეთა სადღეღამისო მორიგეობა. სოლნაღის რაიონის ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში (ფერმის გამგე ვ. მუჟდლიშვილი) მიღებული ბატკანი მთლიანად შენარჩუნებულია. გურჯაანის რაიონის იორმუღანლოს სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ დოლს. დოლის პირველი შედეგები მოწმობენ, რომ აქ ნამატი მთლიანად შეინარჩუნეს და ბატკნები ჯანსაღ მდგომარეობაში არიან. მაგრამ ზოგან გააჭიანურეს საქონლის მოგებისათვის მზადების სამუშაოები. თელავის რაიონის სოფ. კისისხევის კოლმეურნეობაში და სოფ. „ტურდელეულარის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში საქონლის სადგომები დროულად არ შეაკეთეს, სადგომების დეზინფექცია და საზამთრო ბინებთან საქონლის საკვების მიზიდვა გააჭიანურეს. ასევე ითქმის დუშეთის რაიონის სოფ. მაღაროსკარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაზე.

პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები ვალდებული არიან კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საქონლის მოგების ნორმალურად ჩატარებისათვის. საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიოს საბჭოთა მეურნეობებს ნამატის შენარჩუნებისა და გამოზრდის საქმეში. საქონლის მოგების ჯამშანია მალე მასობრივად გაჩაღდება. ეს გვიარნახებს მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დღეები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საჭიროა დედა-პირუტყვის სადგომებთან ყველა კოლმეურნეობამ საჩქაროდ საკმაო რაოდენობით მიზიდოს კონცენტრირებული და უხეში საკვები. უნდა დავაწესოთ მტკიცე კონტროლი საკვების შენახვასა და ხარჯვაში, საკვების გამოყენება უნდა ხდებოდეს რაციონალურად. ადგილებზე სერიოზული ! ყურადღება უნდა მიაქციონ საქონლის სადგომებისა და სამშობიარო განყოფილებების დეზინფექციას. ვეტერინარულმა პერსონალმა ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. მეცხოველეობის ფერმების მუშაკთა მნიშვნელოვან სამუშაოს წარმოადგენს მიღებული ნამატის სისტემატური და სწორი აღრიცხვა. ნამატის ზუსტად აღრიცხვას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. მეცხოველეობის ყველა ფერმაში მოგების მიმდინარეობისას უნდა დავაწესოთ სადღეღამისო მორიგეობა.

ფრიად პასუხსაგებ სამუშაოს წარმოადგენს საქონლის მოგების ნორმალურად ჩატარება საზამთრო საძოვრებზე. მეცხოველეობის რაიონების პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ და ყოველმხრივ დაეხმარონ მეცხოველეობის მუშაკებს, მწყემსებს საზამთრო საძოვრებზე ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალის **ი. სტალინის** 1944 წლის 23 თებერვლის ისტორიულმა ბრძანებამ საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად აღაფრთოვანა ახალ-ახალი შრომითი მამაცობისათვის საძულველ მტერზე — გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამის მოსაახლოებლად. საქართველოს კოლმეურნეები, მეცხოველეობის მუშაკები დიდი სტალინის ბრძანების პასუხად ახალ ვალდებულებებს კისრულობენ მიმდინარე წელს უხვი სამხედრო მოსავლის მოღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღორძინებისათვის. კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შემტევი წითელი არმიისადმი შემდგომი დახმარების გაძლიერებისათვის. მთლიანად შევინარჩუნოთ საქონლის ნამატი, მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეცხოველეობის მეტი პროდუქცია.

მისალმება წითელი არმიისადმი ინგლისის კომპარტიის აღმასკომის თავმჯდომარის გალაჰერისაგან

ლონდონი, 23 თებერვალი. (საკდესი) ინგლისის კომუნისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარე ვილიამ გალაჰერი თავის მისალმებაში წითელი არმიისადმი სწერს:

„ორ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაცხადა, ომი აღმოსავლეთში დამთავრებულია და წითელი არმიის ნაშთებს ესპობონ. მაგრამ მას დაავიწყდა ისევე, როგორც დაავიწყდა საბჭოთა კავშირის ბევრ მტერს, რომ წითელი არმია შეიქმნა ოცდაექვსი წლის წინათ და მისი საფუძველი იყო საბჭოთა ხალხის მძლავრი ბელი და უძლეველი სული. ასეთი არმია არასოდეს არ შეიძლება მოსპობილ ან დამარცხებულ იქნას. ოცდაექვსი წლის წინათ წითელმა არმიამ თავისი ნათლობა მიიღო პსკოვთან. წითელმა არმიამ გაუძლო გამოცდას მაშინ და იგი დღესაც უძლებს გამოცდებს. ყველა ქვეყნის მუშები ამაყობდნენ წითელი არმიით იმ დღეებში. ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად გამაყობთ წითელი არმიით, დათუ მაშინ წითელმა არმიამ დაიცვა პირველი სოციალისტური რესპუბლიკა — საბჭოთა კავშირი, ახლა წითელი არმია იხსნის არამარტო საბჭოთა კავშირს, არამედ კიდევაც იხსნა მთელი მსოფლიო ფაშისტური მონობისაგან. კომუნისტური პარტიის და ინგლისის ხალხის ფართო მასების სახელით უღრეესად გულითადს მისალმებას ვუთვლი მძლავრ წითელ არმიას და მას დიდ მარშალს, საბჭოთა ხალხის საყვარელ ბელადს — იოსებ სტალინს“.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბრიტანეთის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსის—სერ ალან ბრუკის სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეობისათვის და სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას **სუვოროვის I ხარისხის** ორდენით ფელდმარშალი სერ **ალან ბრუკი**, ბრიტანეთის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 26 თებერვალი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

1. აგებულ იქნას 1944 წელს ქ. თბილისში გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ძეგლი.
2. ქ. თბილისის სარეწაო კოოპერაციის ქუჩას ეწოდოს ლესელიძის ქუჩა.
3. ქ. მახარაძის სილაურის ქუჩას ეწოდოს ლესელიძის ქუჩა.
4. მიეკუთვნოს ლესელიძის სახელი ქ. მახარაძის მე-3 საშუალო სკოლას.

გენერალ-მაიორ ვ. ვ. მეკავანაძის და პოლკოვნიკ მ. მ. ჯინჭარაძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამის შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **კუტუზოვის მეორე ხარისხის** ორდენით დაჯილდოებული არიან **გენერალ-მაიორი ვასილ პავლეს-ძე მეკავანაძე** და **პოლკოვნიკი გიორგი მიხეილის-ძე ჯინჭარაძე.**

ვ. უარა-მურზა


ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარების შეჭეშის შედეგები
ფინეთის ყურე
ლენინგრადი
ლადოგის ტბა
ორანიენბაუმი
ოლგინი
ლომა
ტოსნო
ნოვგოროდი
ბატეცკაია
ლუგა
ოსტროვი
პსკოვი
ფინეთის ყურე
ფინეთი
ნარვა
ტალინი
ფინეთის ყურე
ბალტიის ზღვა
ფინეთის ყურე
ფინეთი
ნარვა
ფინეთის ყურე
ფინეთის ყურე
ფინეთი
ფინეთის ყურე
ფინეთის ყურე
ფინეთი
ფინეთის ყურე
ფინეთი
ფინეთის ყურე
ფინეთი

კ. ნ. ლესელიძის დაკრძალვა

გუშინ დილიდანვე წითელი არმიის სახლში, როგორც წინადღეს, უწყვეტ ნაკადად იწყეს დენა თბილისის მშრომელებმა. ათეული ათასობით მშრომელი მოვიდა აქ რათა უკანასკნელი ვალი მოეხადა სტალინური წრთობის ნიჭიერი მხედართთუფროსის გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის წინაშე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ენერგია, მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საშობლოს ბედნიერებისა, ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დიად საქმეს.

დარბაზში შემოაქვთ ახალ-ახალი გვირგვინები.

ნაშუადღევის 3 საათია. იწყება უკანასკნელი სამოქალაქო პანაშვიდი. გაისმის საბჭოლვიარო მარშთა სევდიანი მელოდიები.

კუბოსთან საპატიო ყარაულზე დგებიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, არმიის გენერალი ი. ტიულენევი და გენერალ-მაიორი ეფიმოვი. მათ სცვლიან ამხანაგები: გ. სტურუა, ვ. ბუჯიაშვილი, გუდიმენკო, ივანოვი. შემდეგ საპატიო ყარაულზე დგებიან: ს. იშხანოვი, ზ. კეცხოველი, გლუშენკოვი, სოროკინი, კ. თარგამაძე, მ. ჩუბინიძე, ხორობრიხი, ანდრიაშენკო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ს. ჯანაშია, აკადემიკოსი ა. ჯანელიძე, აფხაზეთის სახალხო პოეტი დ. გულია, მ. ჯაში, ე. ჩერქეზია, გ. გოჩაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, კ. ბარიგიანი, ა. კვაჭაძე, ვ. გოგუა, კ. ჭიჭინაძე, ხადეევი, გ. ყურაშვილი, მამულნოვი, გორბუნოვი, შ. ღამბარშიძე, საბჭოთა კავშირის გმირი იაკუნენკო, მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარე მ. ორაგველიძე, საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ს. ესაძე და სხვები.

3 საათსა და 45 წუთზე დარბაზში მშრომელთა შეშვება შესწყდა. დარბაზში რჩებიან განსვენებულის ახლობლები და მეგობრები. ისინი დგანან გვირგვინებითა და ყვავილებით მორთულ კვარცხლბეკთან, რომელზედაც ასვენია კუბო ძვირფასი და დაუთვწყარი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის ნეშტით...

დარბაზიდან გამოაქვთ რვა ალისფერი პატარა ბალიში გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის ორდენებით. ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვეს ეს გამოჩენილი სტალინური წრთობის მხედართუფროსი წარჩინების უმაღლესი ნიშნებით. აქ არის ლენინის ორდენი, სუვოროვის 1-ლი ხარისხის ორდენი, კუტუზოვის 1-ლი ხარისხის ორდენი. ბოგდან ხმელნიცკის 1-ლი ხარისხის ორდენი და სხვა-ერთ-ერთ მეთაურს მიაქვს სახელოვანი მხედართმთავრის საბრძოლო ხმალი.

ნაშუადღევის 4 საათზე ამხანაგებს ჩარკვიანს, სტურუას, ბაქრაძეს, ტიულენევს, ეფიმოვს, შარიას, ხოშტარიას და ჯაშს დარბაზიდან გამოაქვთ კუბო და ასვენებენ მას ქვემეხს ლაფეტზე. რუსთაველის პროსპექტზე, წითელი არმიის სახლთან სდგას საპატიო სამხედრო ყარაული, ხალხის დიდძალი მასა.

სამგლოვიარო პროცესია გაემართა ვერის ძველი სასაფლაოსკენ. აქ ახლად ამოთხრილ სამარესთან კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის დიდი პორტრეტი და მრავალი ათეული დროშაა.

მთავრობის მიერ გამოყოფილი, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. ჯაშმა გახსნა სამგლოვიარო მიტინგი.



ამხ. ჩარკვიანს, ბაქრაძეს, ტიულენევს, ჯაშს გამოაქვთ კუბო გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ნეშტით წითელი არმიის სახლიდან.

ამხ. ლესელიძის ჯარებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქალაქ ნოვოროსიისკისა და ტამანის ნახევარკუნძულის მტრის ურდოებისაგან განთავისუფლებაში.

გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის შენაერთებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქების ეიტომირის, ბერდიჩევისა და უკრაინის მრავალი სხვა დასახლებული პუნქტის განთავისუფლებაში, რისთვისაც მან სამჯერ დაიმსახურა დიდი სტალინის მადლობა.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე დაჯილდოებულ იქნა რვა ორდენით.

საქართველოს მშრომელები არასოდეს არ დავიწყებენ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის დამსახურებას სამშობლოს წინაშე.

მტერზე საბოლოო გამარჯვება საუკეთესო ძეგლი იქნება ამხ. ლესელიძისათვის.

— დღეს ჩვენ ვეთხოვებით, — ამბობს ამხ. ტიულენევი, — სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილს, მგზნებარე ბოლშევიკს, სტალინური წრთობის მხედართუფროსს, წითელი არმიის ერთ-ერთ გამოჩენილ მეთაურს გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძეს. იგი ჩვენ მოგვშორდა მაშინ, როდესაც მისი შესაძლებლობანი, მისი მხედართუფროსული ტალანტი აყვავების ხანაში იყო. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ჩვენ მოგვშორდა მაშინ, როდესაც სახელოვანი წითელი არმია გამანადგურებელ დარტყმებს აგებებს გერმანელ ფაშისტთა ურდოებს, როდესაც წითელი არმია შეუჩერებლივ მიერეკება ვერაგ მტერს დასავლეთისაკენ სამშობლო ომის ყველა ფრონტებზე. შორს არ არის ის დრო, როდესაც უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ საბოლოოდ გავწმენდთ ჩვენს დიდ სამშობლოს ჰიტლერული სიბილწისაგან.

აჰხ. ი. ტიულენევი დაწვრილებით მოკვითხრობს კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის საბრძოლო გზაზე, იმაზე თუ როგორ გადაუღობეს გზა კ. ნ. ლესელიძის ჯარებმა ჯერმანელ ოკუპანტთა ურდოებს კავკასიონის ქედის უღელტეხილებზე.

საბჭოთა ხალხი,—განაგრძობს ამხ. ი. ტიულენევი, — არასოდეს არ დავიწყებს მთის ამ არწივს, რომელმაც მთელი თავისი ძალა, მთელი თავისი მხედართუფროსული ენერგია და შემოქმედება ძიუძღვნა საბჭოთა ხალხის ბედნიერებას.

წავიდა ჩვენგან სტალინური წრთობის მოწინავე გენერალი, რომელიც აღზარდა საყვარელმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ, წავიდა ჩვენგან ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე. მისი სახელი ძუდამ იცოცხლებს ხალხში.

ძვირფასო კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეე, — ამთავრებს ამხ. ი. ტიულენევი, — ჩვენ ფიცსვდებთ შენს სამარესთან, რომ დიდი სტალინის წინამძღოლობით მტკიცედ წავალთ წინ გამარჯვებისაკენ, იმ გამარჯვებისაკენ, რომელსაც ასე მგზნებარედ იბრძოდი.

საქართველოს ინტელიგენცია,—ამბობს ამხ. ს. ჯანაშია, — უღრმესი მწუხარებით აცილებს სამარისკენ საბჭოთა სამხედრო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელს, სამშობლო ომის გმირს, ჩვენი ხალხის სახელოვანი შვილის, სტალინური წრთობის მზედართუფროსთა საუკეთესო წარმომადგენელს გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძეს, რომლის სახელიც უკვდავი დიდებით არის მოსილი. გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე განასახიერებდა თავისი არსებობისათვის, თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურისათვის, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის საბრძოლო ისტორიულ ტრადიციებს.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია განსვენებულ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძეს ახასიათებს, როგორც ნიჭიერ და უნარიან მხედართუფროსს, რომელმაც გააცოცხლა ქართველი ხალხის ზმირ წინაპართა საუკეთესო ტრადიციები. ორატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ქართველ ხალხს არასოდეს არ გაუშვია ხელიდან თავისი ეროვნული თავისუფლებისა და ღირსების დროსა და მით უმეტეს არ გაუშვებს დღეს, როდესაც იგი გახდა განთავისუფლებული შრომის სიმბოლოდ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში, დიდ საბჭოთა კავშირის თავისუფალ ხალხთა თანამეგობრობაში.

— გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე, — ამბობს შემდეგ აკად. ს. ჯანაშია, — თავდადებით იბრძოდა ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის, ქართველი ხალხის თავისუფლებისა და ღირსებისათვის.

საქართველოს მშრომელები არასოდეს დავიწყებენ საქართველოს სახელოვანი შვილის სტალინური გენერლის ლესელიძის საბრძოლო დამსახურებებს. ქართველი ხალხი არასოდეს დავიწყებს, რომ 1942 წლის მაიმი დღეებში გენერალ - პოლკოვნიკმა კ. ნ. ლესელიძემ ბრწყინვალედ შეასრულა ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ დასახული ამოცანა—გზა გადაეღობა მტრისათვის, არ დაეშვა იგი ჩვენს აყვავებულ რესპუბლიკაში.

ჩვენს ხალხში სამუდამოდ დარჩება მისი საუკეთესო შვილის, გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის ხსოვნა.

— მახარაძის რაიონის მშრომელები,—ამბობს ამხ. ესაძე,—ღრმად დამწუხრებულნი არიან გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის უდროოდ გარდაცვალების გამო, ვიაი სახელითაც ამაყობს მთელი ქართველი ხალხი, მთელი ჩვენი მამაცი უძლეველი წითელი არმია.

ჩვენ ვამაყობდით გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძეთი, როდესაც ვუსმენდით დიდი სტალინის ბრძანებებს, რომლებშიც არაერთხელ ცხადდებოდა მადლობა კ. ნ. ლესელიძის ჯარებისადმი.

სამგლოვიარო მიტინგზე. სიტყვას ამბობს ამხ. მ. ბარამია.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მიტინგზე გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ, არმიის გენერალმა ამხ. ი. ტიულენევმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ს. ჯანაშიამ და საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ესაძემ.

— საბჭოთა საქართველომ, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა,—ამბობს ამხ. ბარამია,—დაჰკარგეს ერთ-ერთი თავისი გამოჩენილი მეთაური, ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე.

ამხანაგი ლესელიძე იყო სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, სტალინური წრთობის მხედართუფროსი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ბოლომდე ერთგული.

22 წელზე მეტ ხანს იბრძოდა ამხანაგი ლესელიძე სახელოვანი წითელი არმიის რიგებში. იგი მონაწილეობდა თეთრფინელებთან ბრძოლებში. ფაშისტ ავაზაკთა ჩვენს ქვეყანაზე მუხანათური თავდასხმისთანავე ამხ. ლესელიძის საარტილერიო შენაერთი ერთ-ერთი პირველი გაუძღვა მტერს.

გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის ჯარები ანადგურებდნენ საზიზღარ მტერს სმოლენსკის მიწაზე, მოსკოვის მისადგომებთან და ტულასთან. 1942 წელს, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის მძიმე დღეებში, როდესაც მტერი შეუჩერებლივ მოიწევდა ამიერ-კავკასიისაკენ, კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე დანიშნულ იქნა იმ არმიის სარდლად, რომელსაც დავალებული ჰქონდა კავკასიონის ქედის უღელტეხილთა დაცვა.

ამხ. ლესელიძემ, რომელიც აღზრდილი იყო ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ, საუცხოოდ შეასრულა დაკისრებული ამოცანა, გადაარჩინა საქართველოს მშრომელების იმედები, დიდი სტალინის ნდობა.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 22 თებერვალი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჩერჩილმა დღეს სიტყვა წარმოსთქვა თემთა პალატაში. სააგენტოს სიტყვით, ჩერჩილმა განაცხადა:

„ახლა მწუხარების ან ზეიმის დრო არ არის. ახლა ის ომიენტია, რომ დავძაბოთ ჩვენი ძალღონე და განვამტკიცოთ გამბედაობა. მე, რა თქმა უნდა, არ ვიძლევი რაიმე გარანტიას და იმის რაიმე იმედსაც კი არ ვიზიარებ, რომ ევროპის ომი 1944 წელს დამთავრდება. მე არც საწინააღმდეგოს რაიმე გარანტიას ვიძლევი. მთელმა ჩემმა ინფორმაციამ უნდა ცხადჰყოს, რომ ჰიტლერი და მისი პოლიცია ჯერ კიდევ სავსებით უწევენ კონტროლს მდგომარეობას და რომ ნაცისტურმა პარტიამ და გენერლებმა გადაწყვიტეს ერთად იჭნენ ჩამოკიდებულნი. ვერმანიის არმიის ძალები დაახლოებით 300 დივიზიას შეადგენენ. გერმანიის ჯარის ბრძოლისუნარიანობა მაღალია.

ინგლის-ამერიკის მიერ გერმანიის დაბომბვამ, რაც სამ მილიონ გერმანელს აბანდებს, ისევე როგორც ინგლისელებისა და ამერიკელების სხვა მოქმედებამ, გერმანიის გამანადგურებელი ავიაციის ოთხი მეხუთედი დაიბარა ინგლისისა და ამერიკის ფრონტებზე. ის გარემოება, რომ გერმანიის დივიზიების ესოდენ დიდი რიცხვი დაბანდებულია იტალიასა და იოგოსლავიაში, მაშინ როცა სხვა სამხედრო ნაწილები საფრანგეთში, ჰოლანდიაა და ბელგიაში იმყოფებიან, დაბმარებას წარმოადგენს ალიოსავლეთის ფრონტისათვის.

ეს განცხადებანი უნდა გავაკეთოთ დასავლეთი მოკავშირეებისადმი სამართლიანობის გრძნობის გამო, მაგრამ ეს განცხადებანი არავითარ შემთხვევაში არ ამცირებენ რუსთა იარაღის დიდებას".

შემდეგ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ მას „განზრახული არა აქვს კეთნა, ბოგრამ მთლიანად კავშირის ინტერესებს შეიძლება ზიანი მიადგეს. თუ ამ კავშირის სხვა წევრებს არ იცოდნენთათ, როგორია წილი ინგლისის მონაწილეობისა მომავალ დიდ ამბებში. დომინიონებსაც ოფლება აქვთ იცოდნენ, როგორ ასრულებს მეტროპოლია თავის როლს. 1943 წლის 1 იანვრიდან მარტა მეტროპოლიის შეიარაღებლობა ძალებმა ჩასძირეს ნახევარზე მეტი წყალქვეშა ნავები ინფორმაციიდან, რომელთა ჩაძირვის შესახებ ჩვენ საბუთი მოგვეპოვება ტყვეების სახით. მათ წილად მოდის ოგრეთვე დანარჩენი ჩაძირული წყალქვეშა ნავების საერთო მნიშვნელოვანი რიცხვის 40 პროცენტი. უმთავრესად ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებამ გამოიწვია ამ პერიოდის განმავლობაში 835 ათასი ტონა საერთო წყალწყვის 316 ათასჯერ გემის ჩაძირვა".

„ამავე პერიოდში დაილუპა სამეფო ფლოტის 7.677 ოფიცერი და მატროსი და საჯარო ფლოტის 4.200 ოფიცერი და მატროსი. ომის დასაწყისიდან სამეფო ფლოტის ზარალი 41 ათას ოთიცირსა და მატროსს შეადგენს. ომის დასაწყისში არსებული მთელი პირადი შემადგენლობიდან—133 ათასი მეზღვაურიდან. 1943 წლის 1 იანვრიდან, ორი წლიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ჩვენ 95 სავაჭრო ხომალდი დაკარგეთ.

ლომბარდიისა და მოკავშირეების საჰაერო შეტევა, ეს ინგლისის კონძლოსა ავიაციამ 38.300 მორიგი დაჯარგა მოკლულთა სახით და 10.400 უკალოდ დაჯარგულთა სახით.

ინგლის-ამერიკის საჰაერო შეტევა გერმანიაზე განხილულ უნდა იქნას როგორც ჩვენი მთავარი ლონისძიება ამეამად წარმოებული შეტევითი ოპერაციების დარგში. 1943 წლის შუახანებამდე მოქმედებაში მყოფი ჩვენი ძალები ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ ამეამად ინგლისში მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების ბომბდამშენი ავიაცია თანდათან სჭარბობს ჩვენს საკუთარს, და მე სიხარულით შემიძლია ვთქვა, რომ მალე იგი კიდევ მნიშვნელოვნად გაიზრდება. ინგლისისა და ამერიკის ავიაციის უჭანასკნელი ოთხი თვედასტმის დროს ჩამოყრილ იქნა 9 ათას ტონაზე მეტი ბომბი, რაც წარმოადგენს ჰაერიდან ყველაზე გაფთრებულ დარტყმას, როგორიც კი გერმანიას დღემდე განუცდია. გაზაფხულზე და ზაფხულში ჩვენ ამ დარტყმების მნიშვნელოვანი გაძლიერების მოწმენი ვიქნებით.

მოელი ეს საჰაერო შეტევა წარმოადგენს ამ საფუძველს, რომელსაც ემყარება კონტინენტზე შეჭრის ჩვენი გეგმები. ჩვენ ვიანალწიეთ საჰაერო შეტევის ისეთ გაქანებას, რომელიც გადაჭარბებს ყოველივე იმას, რაც დღემდე გაკეთებულა ან რის წარმოდგენაც კი შეიძლება. ის შეიხედულება, რომ ჩვენ უნდა შევზღუდოთ ომის დამთავრების ვადები. დაჩქარების ამ პირველსახეობანი იარაღის მოქმედება ან შეგამციროდ მისი ზემოყენება. მიღებული არ იქნება მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების მიერ. სავსებით უეჭველია ის, რომ გერმანელები სათრანგეთის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი მასშტაბით ამზადებენ ინგლისზე თავდასხმის ახალ საშუალებებს. რადიოთი სამართავი თვითმფრინავების, ან, შესაძლოა, რაკეტებია, ერდა ერთისა და იმავე დროს ორივეს საშუალებით. ჩვენ ვფრაყამთ ამ მზადების კვრებს, როცა კი ამინდი ხელს გვიწყობს. დრო კიდევ დაგვანახვებს, თუ რას იგრძნობს გერმანია, როდესაც მისი გამანადგურებელი ავიაცია თითქმის სავსებით მოსპობილი იქნება. იგივე ეხება იაპონიის საჰაერო ძალიერებასაც".

ჩერჩილმა იტალიაში წარმოებული ოპერაციების გულისგამტეხად ნელი მსვლელობა მიაწერა ამინდს, რომელიც წელს უარესია, ვიდრე ჩვეულებრივად, და იმ ფაქტს, რომ გერმანელებმა გადაწყვიტეს მაჭიმალური ღონისძიებანი იხმარონ რომის შეანარჩუნებლად.

ჩერჩილმა ახსნა, თუ რატომ არ შეიძლება ჩატარდეს დიდი კომბინირებული შეჰოვლითი მოძრაობა იტალიის ალმოსავლეთ ან დასავლეთ სანაპიროზე, და განაცხადა, რომ ამ მოძრაობის ეფექტური განხორციელების შესაძლებლობა დამოკიდებულია მის ჯეროვნად შეთანხმებაზე მოკავშირეთა წლევანდელ საერთო პროგრამასთან. „ეს პროგრამა,—განაგრძო ჩერჩილმა,—უფრო ცოცელ საკითხებსა და ძალებს ეოიცავს, ვიდრე ის საკითხები და ძალებია, რომლებთანაც ჩვენ ალჭმე გვაქვს იტალიაში. გენერალი ალექსანდერი ამბობს, რომ ის ბრძოლები, რომლებიც ამჟამად ხიდწინა სიმაგრის რაიონში და კასინოს თრინტზე სწარმოებს, სჭარბობს ყოველგვარ იმას, რაც მას დღემდე უნახავს. თავის ერთ-ერთ წერილში ჩემდამი მან სიტყვა „შემაძრწუნებელი" კი იხმარა. ხელმძღვანელნი დარწმუნებულნი არიან საბოლოო წარმატებაში, და ჯარების სულისკვეთება უაღრესად მხნეა. ჰიტლერის გადაწყვეტილება—შეჰჭნას დიდი დამატებითი ფრონტი იტალიაში—არასასიამოვნო როდია მოკავშირეებისათვის. ჩვენ იქ უფრო ენერგიულად უნდა ვიბრძოლოთ, თუ არ გვსურს ომიმედოდ ვიდგეთ და თვალყურს ვადევნებდეთ რუსების ბრძოლას".

„რამდენადაც ამერიკაში გაკეთებულ იქნა ზოგიერთი არაოფიციალური განცხადება იმ არმიების შედარებითი ძალიერების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას ინგლისიდან, საჭიროა აღინიშნოს, რომ ინგლისისა და ამერიკის არმიები ბრძოლის დასაწყისში დაახლოებით თანასწორი იქნება. მაგრამ, თუ ბრძოლა გაჭიანურდა, ბუნებრივია, რომ ამერიკის მაშველი ძალების გარეშეწევეტილი მოსვლა მისცემს მათ იმ რიცხობრივ უპირატესობას, რასაც უნდა მოველოდეთ, თუ მხედველობაში მივიღებთ ადამიანთა იმ რეზერვებს, რომლებიც მათ მოეპოვებათ".

შეეხო რა პოლიტიკურ მდგომარეობას ევროპაში, ჩერჩილმა სთქვა: „იტალიაში ბრძოლა ძნელი და ხანგრძლივი იქნება. მე ჯერ კიდევ დარწმუნებული არა ვარ იმაში, რომ ამეამად იტალიაში შესაძლებელი იყოს შეიქმნას რაიმე სხვა მთავრობა, რომელსაც იტალიის შეიარაღებული ძალების მხრივ ასეთივე მორჩილების იმედი ჰქონდეს. თუ ჩვენ ახლანდელ ბრძოლაში წარმატებას მივაღწიეთ და რომში შევედით,—ხოლო მე ვფიქრობ, რომ ეს ასეც იქნება,—მაშინ ჩვენ შესაძლებლობა გვექნება გადავსინჯოთ მთელი პოლიტიკური ვითარება იტალიაში. სწორედ რომში შეიძლება საუკეთესოდ შეიქმნას უფრო ფართო ბაზაზე დაყრდნობილი იტალიის მთავრობა". იუგოსლავიაში პარტიზანთა ჯარების ხელთ უპყრიათ ინიციატივა, მიუხედავად გაფთრებული მკვლელობისა და ხეცობისა, რასაც გერმანელები სწარმოებენ. ჩერჩილმა ილაპარაკა ტიტოზე, რომელსაც 250 ათასზე მეტი კაცი ემორჩილება, როგორც შესანიშნავ ლიდერზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში. „ტიტოს პარტიზანები ერთად-ერთი ადამიანები არიან, რომლებიც ამეამად რამდენადმე ეფექტურ ბრძოლას ეწევიან გერმანელების წინააღმდეგ იუგოსლავიაში",—დასძინა ჩერჩილმა. რაც შეეხება ბეთე პეტრეს ზედგამარეობას და კაიროში არსებული იუგოსლავიის მთავრობის მდგომარეობას, ჩერჩილმა სთქვა, ჩვენ მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავემჯნებიანო. უიმეველია, პარტიზანების თვალში მას ზიანი მიაყენა მისი მთავრობის კავშირმა პიაელოვიჩთან.

მოიხსენია რა კაიროს, თეირანისა და მოსკოვის კონფერენციები, ჩერჩილმა სთქვა: „სამ დიდ სახელმწიფოს შორის ფრიად ცოტა იქნებოდა უთანხმობა, მათს წარმომადგენლებს რომ შეეძლოთ თვეში ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. მე მწამს, რომ შესაძლებელი იქნება მოეწყოს ახალი შეხვედრა ომის მსვლელობის მიხედვით. იბადება კითხვა: ხანგრძლივი აღმოჩნდა თუ არა მოსკოვსა და თეირანში დაპყარებული კარგი ურთიერთობა, თუ მან ვერ გაამართლა თავი განვლილი კვირეების მანძილზე. მოასწავებენ თუ არა, მაგალითად, „პრავდის" განცხადება ან სტატიები, რომლებიც საბჭოთა მთავრობის სხვადასხვა ორგანოებში იბეჭდება, ინგლის-რუსეთის ან ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის განლეგას და რუსეთის მხრივ მისი დასავლეთელი მოკავშირეებისადმი ეჭვიანობის აღდგენას?. მე ვიმაჩნია, რომ სრული უფლება მაქვს დავარწმუნო თემთა პალატა შემდეგს უაღრესად მნიშვნელოვან პუნქტში. მოსკოვისა და თეირანის არც ერთი მიღწევა არ არის დაკარგული. სამი დიდი მოკავშირე აბსოლუტურად ერთიანია თავის მოქმედებაში საერთო მტრის წინააღმდეგ. ისინი თანაბრად არიან გამსჭვალულნი გადაწყვეტილებით განაგრძონ ომი მის დამთავრებამდე, ... რომ ჰიტლერი ... დეგ მათ წინაშე გადაიშლება მეგობრული თანამშრომლობის ფართო აპარეზი. სწორედ ასეთ ხანგრძლივ, მჭიდრო და საპატიო თანამშრომლობაზეა დამოკიდებული მთელი მსოფლიოს მომავალი".

ჩერჩილმა სთქვა, რომ მან პირადად დააყენა სტალინის წინაშე საკითხი პოლონეთის მომავლის შესახებ და აღნიშნა, რომ იმ გარანტიის შესასრულებლად, რომელიც ბრიტანეთმა პოლონეთს მისცა, ინგლისმა ომი გამოუცხადა ნაცისტურ გერმანიას. პოლონელი ერის საკითხს პირველი ადგილი უჭირავს ინგლისელი ხალხისა და პარლამენტის პოლიტიკურ აზროვნებაში. „დიდი სიამოვნებით,—სთქვა ჩერჩილმა, — მოვისმინე მე სტალინისაგან, რომ იგი გამსჭვალულია გადწყვეტილებით იმის შესახებ, რომ შეიქმნას და დაცულ იქნას ძლიერი, მთლიანი და დამოუკიდებელი პოლონეთი, როგორც ევროპის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს ასეა. საბჭოთა კავშირის დამყარებულ პოლიტიკას, ამასთან შეიძლება მოვაგონო პალატას, რომ თვითონ ჩვენ წარმოულში არასოდეს არ მიგვიცია მთავრობის სახელით გარანტია პოლონეთის საზღვრის რაიმე განსაკუთრებული ხაზისათვის. ჩვენ არ ვიწოვნებდით ვილნოს ოლქიანის პოლონელებმა 1919 წელს, ინგლისის თვალსაზრისმა 1920 წელს. ინგლისის თვალსაზრისმა 1919 წელს თავისი გამოხატულება ჰპოვა ეგრეთწოდებული კერზონის ხაზით, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ამ პრობლემასადმი პირუთვნელ მიდგომას წარმოადგენს. ეს ყოველივე იმ აზრისა ვიყავი. რომ ტერიტორიულ შეთანხმებათა და მოწესრიგების ყველა საკითხი დატოვებულ უნდა იქნას ომის დამთავრებამდე და რომ ძლიერ ... ლა სახელმწიფოებმა მაშინ უნდა მიაღწიონ ... ოფიციალურ და საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც განსაზღვრავდა მთლიანად ევროპის მოწყობას". აღნიშნა რა, რომ იოგენი და ჩერჩილი ლონდონში არსებობენ მოლონეთის მთავრობასთან ერთად შრომობდნენ, რათა შეიქმნას სამშაო ბაზა, რომლის საფუძველზეც მოქმედება შეეძლოთ შეიარაღებულ ძალებს და რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს რუსეთსა და პოლონეთს შორის კეთილი ნიბისა და ამხანაგობის მუდმივი შინაარსი, ჩერჩილმა სთქვა: „ეს ორმაგ თანავეგრძნობ პოლონეთს. მე თანავეგრძნობ ოგრეთვე რუსეთის თვალსაზრისს".

„რუსეთს უფლება აქვს უზრუნველყოფილ თავი დასავლეთიდან თავდასხმისაგან ომიანელ, და ჩვენ განზრახული გვაქვს ყოველნაირად დავეხმაროთ მას მიაღწიოს ამას არა მარტო თავისი არმიების ძალით, არამედ გაერთიანებულ ერთა მოწონებითა და თანხმობით. პოლონეთის განთავისუფლება ამჟამად შეიძლება განხორციელებულ იქნას რუსეთის არმიების მეერ მას შემდეგ, რაც მათ მოლონობით ადამიანები დაპკარგეს. მე არ შემიძლია ჩავთვალო, რომ რუსების მოთხოვნები მათი ქვეყნის დასავლეთი საზღვრის უზრუნველყოფისა გონიერების ან საერთაშორისოების ფარგლებს სცილდებოდეს. მე და სტალინი შეეთანხმდით ოგრეთვე იმის შესახებ, რომ აუცილებელად საჭიროა პოლონეთმა მიიღოს კომპენსაცია გერმანიის ხარჯზე ჩრდილოეთით, ისე დასავლეთით.

უსიტყვო კაპიტულაციის პირობები იმის ოდენ ნიშნავს, რომ გერმანელი ხალხი დაზიანებული ან გაძარცული იქნება. ეს პირობები იმას ნიშნავს, რომ კაპიტულაციის მომენტში მოკავშირენი არ შეიზღუდავენ თავს მასთან რაიმე პაქტის დადებით ან ვალდებულებებით. ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგალითად, იმაზე, რომ ატლანტიკის ქარტია გამოყენებულ იქნას გერმანიის მიმართ მისი უფლებების მხრივ და რომ ჩვენ არ შეგვეძლოს მოვახდინოთ ტერიტორიული ცვლილებანი და რეგულირება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. ჩვენ არ დავუშვებთ არავითარ დავას კაპიტულაციის პირობებზე, მსგავსად იმ დავისა, რასაც გერმანია ეწეოდა წარსული ომის შემდეგ პრეზიდენტ ვილსონის 14 პუნქტის შედეგად. თუ ჩვენი სინდისი გვავალებს ცივილიზაციის წინაშე, ჩვენ გერმანელების მიმართ არავითარი ვალდებულება არ უნდა გვქონდეს რაიმე დადებული გარიგების საფუძველზე—ასეთია უსიტყვო კაპიტულაციის აზრი.

შესაძლოა, შემდეგში მე ახალი განცხადება გავაკეთო პარლამენტში პოლონეთის შესახებ. ეს საკითხები ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია".

დაბგმო რა ზოგიერთ ადამიანთა მიდრეკილება გაანახლონ ძველი უთანხმოება ქვეყნის შიგნით, გააკტივონ დავიწყებული ცრუ შეხედულებანი ინგლის-ამერიკის ურთიერთობაში, ჩერჩილმა ასე დაასკვნა: „მე ისევ მაქვს, რომ ერთიანობის კეთილშობილური ინსტინქტები არ გვიმტყუნებენ ჩვენ უკიდურესი დაძაბულობისა და მძიმე მსხვერპლის ამ დროებაში. ვიცოდთ გავაკეთოთ ყოველივე, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ შევასრულოთ ჩვენი ვალი. შესაძლოა, გამარჯვება არც ისე შორს იყოს, და რა თქმა უნდა. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ეს მივაღწიეთ".

(„პრავდა", 23 თებერვალი).

„ფსიქოლოგიის" II ტომი

სამხედრო ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის საკითხები

ამ დღეებში აკადემიკოს დ. უზნაძის რედაქტორობით გამოვიდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომათა მე-2 ტომი „ფსიქოლოგია". ეს ტომი ეთლიანად მიძღვნილია სამხედრო ფსიქოლოგიის საკითხებისადმი.

კრებულის პირველ განყოფილებაში მოთავსებულია შრომები სამხედრო ფსიქოლოგიის ზოგად საკითხების გარშემო: 1. ა. მოსკალა—„მებრძოლის სიმტკიცე და მისი აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები"; 2. დ. რაზიშვილი—„გმირობის ფსიქოლოგიური არსი და გმირის სხვადასხვა ტიპები"; 3. ა. ფრანგიშვილი — „ძანიკის ფსიქოლოგიისათვის"; 4. ზ. ბოჯაკა — „ომამრის საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიური საფუძვლები".

კრებულის მე-2 განყოფილებაში მოთავსებულია შრომები სამხედრო ფსიქოპათოლოგიის პრობლემათა გარშემო: 1. ი. ბეკალაკა — „პოსტკომოციური რეაქციათა ტიპოლოგია"; 2. რ. ნათაძე—„მასალები ცნებითი ზზოვნების პოსტკომოციური დარღვევისათვის"; 3. ვ. ნორაკიძე—„პრემორბიდული პიროვნება ომის ფსიქონევროზებში"; 4. ნ. ელიავა—„მეხსიერების პოსტკომოციური დაავადების საკითხისათვის".